ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1567470

ნომერი: AR1258332

თარიღი : 16.10.2014

გაცემის თარიღი : 30.10.2014

გაცნობის თარიღი : 10.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ოქიტაშვილი პ/ნ 01008011914
- თბილისი წყნეთის გზატ. N 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1258332 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ წყნეთის გზ. #7-ში დაგეგმილი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი,
№7-ში, შპს "ალფა ჰოლდინგ საქართველო"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.07.003.030) სამსახურის

მიერ 2014 წლის 17 ოქტომბრის №1543065 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და
გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან ნებართვა სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და
ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ # AR1240677 განაცხადის ნომერი.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და
უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მათი ოფიციალური წესით გაცნობიდან
ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.